ფინანსურად არამომგებიანი პროექტების კეთებას. რაც უფრო ნაკლებს იღებ სახელმწიფოსგან, ან სახელმწიფო ორგანიზაციებისგან მით უფრო მეტს იღებ მაყურებლისგან და საზოგადოებისგან. ისინი შეეჩვივნენ იყვნენ თავისუფლები და გრძნობდნენ მეგობრების, თანამოაზრეების დახმარებას. ალბათ სწორედ ამით აიხსნება, თუ რატომ არიან ისინი დღესაც ასე ახლოს ერთმანეთთან და რატომაც ახალი დრამა რუსეთში კვლავ არსებობს.

ნინა ბელენიცკაია

პავლიკა - ჩემი ღმერთი

პიონერული სპექტაკლი-კონცერტი

რუსულიდან თარგმნა ლიკა ჭელიძემ

რუსული თქმულება ამბობს: თუ გოგონა მამას ჰგავს,

ეს მისთვის ბედნიერების მომტანია.

ლ. ულიცკაია

ეძღვნება მამაჩემს.

1.

რეკავს ტელეფონი. გაბმული ზარი დიდხანს წკრიალებს.

ტანია: ხედავს ჩემს ნომერს და არ მპასუხობს. მას ჩვეულებრივ უცხო ნომრიდან ვურეკავ ხოლმე.

2.

ტანია: ვეძებ მამაკაცს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ასაკი - 45 წლიდან ზემოთ. გონებრივად სრულყოფილს.

ვიზრუნებთ ერთმანეთზე და როცა დაბერდება, პირობას ვდებ, არ მივატოვებ, არ ჩავაბარებ მოხუცებულთა თავშესაფარში და არ გავუყოფ ბინას.

ფინანსური მხარე საერთოდ არ მაღელვებს, ისევე როგორც სიმაღლე, წონა და სხვა დანარჩენი მონაცემები.

სასურველია, გულწრფელად დაინტერესდეს ჩემით, ყოველთვის ახსოვდეს ჩემი დაბადების დღე და რეგულარულად მირეკავდეს. ძალიან მინდა შემიყვარდეს და მანაც იგივე გრძნობით მიპასუხოს.

მოხარული ვიქნები, თუ წინამორბედისგან განსხვავებით, არ გამცვლის სხვაში.

ვიცხოვრებთ ცალ-ცალკე და მხოლოდ დასვენების დღეებში შემოვიფარგლებით საერთო სადილით.

ინტიმს ნუ შემომთავაზებს.

ვეძებ მამას.

3.

კვლავ ისმის ტელეფონის ზარი.

ტანია: მე ვარ, ტანია. ყოველი შემთხვევისთვის გითხარი, ხომ შეიძლებოდა, ვერ გეცნე.

მამამისი: გამარჯობა

ტანია: როგორ ხარ?

მამა: გმადლობ, კარგად.

ტანია: მოხარული ვარ.

მამა: დამცინი? აი, სულ ასეა!

ტელეფონში წყვეტილი ზარი...

ტანია: ხომ არ შევხვდეთ? (ამბობს უკვე გათიშულ ტელეფონში).

4.

ტანია: მამა, ოდესმე დაგსიზმრებივარ?

5.

ტანია: ნახევარი წლის შემდეგ.

ტელეფონის ზარი.

ტანია: ტანია ვარ. ეს ისე, ყოველი შემთხვევისთვის გითხარი, ხომ შეიძლებოდა, ვერ გეცნე.

მამა: გამარჯობა.

ტანია: როგორ ხარ?

მამა: რატომ რეკავ?

ტანია: შენი ხმა რომ გავიგო.

მამა: და რომ დამადანაშაულო არა?

ტანია: იქნებ, შენ თავს ადანაშაულებ და ამას ჩემი ხმით აკეთებ.

მამა: თუ ასეა, კარგად იყავი.

ტანია: მოიცა! შეწუხებისთვის ბოდიშს გიხდი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. იქნებ შეძლო, და მცირეოდები ფული გამომიგზავნო?

მამა: მიდი და თავად იმუშავე.

ტანია: ვმუშაობ. მაგრამ შენ ხომ უმცროსი ქალიშვილიც გყავს. იცი, ავად გახდა. ექიმები ამბობენ, რომ სერიოზულად არის საქმე. აუცილებლად სჭირდება ძვირიანი წამლები. მე ხომ წვრილმანების გამო არ გაწუხებ და არ გეუბნები იმას, რომ გაიზარდა, ყველაფერი დაუპატარავდა, რომ ჭირდება ახალი ზურგჩანთა, რადგან ძველი გაიქუცა და დაიხა, რომ სჭირდება ბოტასები და ქურთუკი, და რომ მის კლასში ყველას აქვს ფლეერი, ხოლო ფასები საოცარია. ერთხელ მაინც გაგეშვა ბავშვი ზღვაზე... სახლში სარეცხი მანქანა გაგვიფუჭდა, სამზარეულოს მაგიდაც ყანყალებს...

მამა: მას დედა ჰყავს!

ტელეფონში წყვეტილი ზარი.

ტანია: მას ხომ მამაც ჰყავს. მამა - ჩათლახი, მამა - დამპალი, მშობლიური, ჩათლახი. მამიკო, რომელსაც, რაღაც არ მახსოვს, რომ მისი გაჩენა ეთხოვა, შენი დედაც... მე, შე ახვარო, ჩემს სტუდენტურ წლებში უნდა შევითავსო შენი ფუნქციები და საკუთარი დის მშობლად უნდა ვიქცე! მე გავაჩინე? მე მოვიყვანე დედა ცოლად? მე მივატოვე ჩვენი ოჯახი? რატომ მრცხვენია ასე შენს გამო? მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი არაფერი გამიკეთებია.

6.

გაბმული ზარი. კვლავ არ იღებს ყურმილს.

ტანია: მამა, მე უკვე გითხარი - აღარ მიყვარხარ - ეს ერთი.

გიღალატებ - ეს ორი.

დაგასმენ - ეს ორნახევარი.

ან რვა წელი კონფისკაციით... აბა რა გეგონა?

ახლა პავლიკ მოროზოვია ჩემი ღმერთი.

მან პირველმა დაარღვია სულელური მცნება: პატივი ეცი მამას. შენ ჯერ გაერკვიე, ვინ არის იგი - შენი მამა, ხოლო შემდეგ იფიქრე, როგორი ურთიერთობა უნდა გქონდეს მასთან. ღირსია კი იგი საერთოდ, რომ შენთვის ვიღაც მაინც იყოს?

7.

პარტერში მაყურებელთა სკამიდან დგება ბიჭი.

პავლიკი: პავლიკ მოროზოვი საჭმელს ხარშავდა, იატაკზე კი დაფორთხავდა უფეხებო მამა.

გამარჯობა.

ტანია: ეს ვინ არის?

პავლიკა: ეს პავლიკია.

ტანია: ეს როგორ გავიგო?

პავლიკა: პირდაპირი მნიშვნელობით. პავლიკ მოროზოვი.

ტანია: კაი ერთი.

პავლიკი: პიონერულ სიტყვას გაძლევ.

ტანია: რომ არ გავხარ? არც მის პორტრეტებს და არც ქანდაკებებს, და არც მის საფლავზე დადგმულ ძეგლს.

პავლიკა: როდის იყავი ბოლოს სასაფლაოზე? გინახავს ერთი საფლავის ქვა მაინც, რომელიც გავს წესიერ ადამიანს?

ტანია: პავლიკა 14-ის იყო, როცა დაბრიდეს!

პავლიკი: ჯერ ერთი, დაკლეს. მეორეც, 80 წელი გავიდა მას შემდეგ. არ უნდა გავზრდილიყავი ცოტათი მაინც?

ტანია: გამყიდველები არ იცვლებიან!

პავლიკი: და მათი შვილები?

ტანია: აი, კითხვები.

პავლიკი: აბა როგორ გეგონა? მე ხომ შენი ღმერთი ვარ!

ტანია: თუ მართლა პავლიკი ხარ!..

პავლიკა: პავლიკი ვარ, პავლიკი. გაჩვენო დანით მიყენებული ჭრილობები?

ტანია: ისევ გაჩნია?

პავლიკა: სად წავიდოდნენ, რო? ყველაფერი ჩაწერილია პროტოკოლში...

ტანია: პავლიკა მოკვდა, შენ კი ცოცხალი ხარ!

პავლიკი: სად არის ფაქტი? თანამიმდევრული ხარ?

ტანია: კი. არა. არ ვიცი.

პავლიკი: მე ვიცი. სანამ არ ვიყავი, უამრავი რამ გამოიგონეს: თვითმფრინავი ჰქვია, იქნებ გაგიგონია? მიფრინავ ტიუმენამდე. იქიდან ავტობუსით ტავდამდე. ხოლო იქიდან ჩემამდე 40 კილომეტრიღაა. გზას ყველა მიგასწავლის - დღემდე ადგილობრივი ღირსშესანიშნაობა ვარ. ასფალტიც კი დააგეს ჩემთან მოსასვლელად.

8.

გერასიმოვკა. პავლიკის საფლავი, რომელზეც დგას ძეგლი ფართხუნა თაბაშირის შარვალში. პავლიკი ასუფთავებს საფლავის ქვას ყვითელი ფოთლებისგან. გამოჩნდება ტანია.

ტანია: გთხოვთ გამოიძახოთ მოწმე პაველ მოროზოვი.

პავლიკი: ფოთლების შრიალივით გავარდა ხმა - ნუთუ მამის წინააღმდეგ წავა?

ტანია: მონადირე ეგორი, ისიც კი, რომელიც ასეთი სიტყვაძუნწია, ჩაერთო - რა თქმა უნდა, წავა!

პავლიკი: ვიღაცამ პაპიროსის კვამლში ყრუდ უპასუხა - მაინც ხომ მამაა, ცოდო არ არის? ერთია - განაცხადო, აქ კი სერიოზულადაა საქმე - სასამართლო. ალბათ, დაფიქრდება.

ტანია: პავლიკმა გადააბიჯა პარმაღს.

პავლიკი: მე ყველაფრისთვის მზად ვარ. სასამართლოს ვაძლევ პიონერულ სიტყვას, რომ სრულ სიმართლეს ვიტყვი.

ტანია: ქერათმიანი ბიჭუნა კეპს ჭმუჭნის, ელოდება კითხვებს.

- პაველ მოროზოვი ხარ?

პავლიკი: დიახ.

ტანია: განსასჯელის შვილი ხარ?

პავლიკი: დიახ.

ტანია: დაკითხვა რომ მოკლე ყოფილიყო, სასამართლოს თავმჯდომარემ ჰკითხა:

_ მამასთან ღამღამობით სახლში უცხოები მოდიოდნენ?

პავლიკი: დიახ.

ოღონდ, ჩემი აზრით, სასამართლო სცენა პროზაულად უფრო ეფექტურია.

ტანია: მოსამართლემ კვლავ ჰკითხა:

_ პავლიკ, ეს მამაშენია?

პავლიკი: დიახ, ის მამაჩემი იყო, მაგრამ მას მამად აღარ ვთვლი. ვიძლევი პიონერულ სიტყვას, რომ ვამბობ სიმართლეს. საკმაოდ რთული იყო. მაინც მამაა“.

ტანია (ქირქილით): „მაინც მამაა“. მაინც რომ შვილია, არ უფიქრია?

პავლიკი: - ბიძია მოსამართლეებო! - პავლიკას ხმაში სიმტკიცე შეემატა და მან ისე განაგრძო საუბარი, როგორც კარგად დაზეპირებული გაკვეთილი, - მე, როგორც არა შვილი, არამედ როგორც პიონერი, ვითხოვ მამაჩემისთვის მკაცრ სასჯელს, რათა მომავალში სხვებს არ მოუნდეთ პარტიის გზის ღალატი.

ტანია: პაველმა იქ მყოფ საზოგადოებას თავი დაუკრა და აღელვებული სკამზე ჩამოჯდა.

9.

ტანია: რატომ არსად წერია ისე როგორც საჭიროა მამის დასმენის შესახებ?

პავლიკი: პაველ მოროზოვი. კულაკობასთან ბრძოლაში მონაწილე საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში.

ტანია: ერთ-ერთ პოემაში წერია, რომ როგორც კი დაინახე, მამაშენი გასცემდა კულაკებზე საბუთებს, იმავე ღამეს რაიკომში გაიქეცი.

პავლიკი: ვიყავი ორგანიზატორი და თავმჯდომარე გერასიმოვკის პირველი პიონერული რაზმისა, რომლის პიონერებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები კოლმეურნეობის შექმნის აგიტაციაში.

ტანია: მოთხრობაში შენ ადგილობრივ ჩეკისტს რაღაც უჩურჩულე ყურში.

პავლიკი: მხეცურად იქნა მოკლული კულაკების მიერ. მოროზოვის სახელი მიენიჭა გერასიმოვკისა და სხვა კოლმეურნეობებს, სკოლებსა თუ პიონერთა ბანაკებს.

ტანია: დაწვრილებით მომიყევი.

პავლიკი: რისთვის?

ტანია: მინდა შენი ადგილი დავიკავო.

პავლიკი: მე მკვდარი ვარ. ყველას ვეზიზღები. არ გირჩევ.

ტანია: მეც უამრავი ნაკლი მაქვს. სამაგიეროდ, შენ „კრეატიული“ ხარ. დღეს კი ეს ჩვენში დიდი იშვიათობაა.

პავლიკი: რეალურად რით განსხვავდები ჩემგან?

ტანია (ჩაფიქრდება): ჯერ ერთი, პიონერი ხარ.

პავლიკი: შენ?

ტანია: მრცხვენია, მაგრამ ოქტომბრელი. 91 წელი დადგა. სულ რაღაც ექვსი თვე არ მეყო.

პავლიკი: მიგიღო?

ტანია: შეიძლება, რო?

პავლიკი: რა თქმა უნდა, მე ხომ რაზმის ხელმძღვანელი ვარ! ოღონდ იცოდე, უკან დასახევი გზა პიონერობიდან არ არსებობს. მზად ხარ?

ტანია (პიონერულ სალამს აძლევს): ყოველთვის მზად ვარ!

ისმის დაფდაფების ხმა.

პავლიკი: მაშინ გაიმეორე ჩემთან ერთად: მე, სახელი, გვარი (ტანია იმეორებს მასთან ერთად), ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა რიგებში შესვლისას ჩემი ამხანაგების წინაშე საზეიმოდ ვფიცავ: მხურვალედ მიყვარდეს ჩემი სამშობლო, ვიცხოვრო,

ვისწავლო და ვიბრძოლო ისე, როგორც დაგვიბარა დიდმა ლენინმა და გვასწავლის კომუნისტური პარტია.

პავლიკი (ცალკე): გმირი პიონერის, პავლიკ მოროზოვის სახელით ვფიცავ: არ დავიცვა მშობელი მამა.

ტანია: ვფიცავ, არ დავიცვა მშობელი მამა. თქვენც ასე ამბობდით?

პავლიკი: ეს თქვენ ამბობთ ფიცს (ყელსახვევს უკრავს).

ტანია: მე მათ დასანახად ვერ ვიტან. დღეს ის მამაა, ხვალ კი - სრულიად უცხო არსება. გადავწყვიტე, რომ დაჩაგრულ ბავშვებს და ყველას, ვინც ასეთად თვლის თავს, უნდა შეკავშირდნენ და შექმნან ბანდფორმირება, რათა გაწმინდონ ქვეყანა არაკეთილსაიმედო მამებისგან. როგორც ისინი გვექცევიან ჩვენ, ისე მოვექცევით ჩვენ მათ. რატომ ვითმენთ ყველაფერს და ვუშვერთ ლოყას? და საერთოდ, საჭიროა, როგორც 30-იან წლებში კვლავ მივცეთ ჩვენი ქვეყნის ბავშვებს უფლებები. როგორც მაშინ - ადგნენ და ყველა ბავშვი მოსავლის დარაჯებად დააყენეს.

პავლიკი: ჩვენ გამოგვაცხადეს ნორჩ მზვერავებად.

იყავი ყურადღებით. არ დაუჯერო იმას, ვისზეც ერთი წამითაც ეჭვი გეპარება.

ყველა უცხო და საეჭვო პირებზე განაცხადე სოფლის კომიტეტში.

გახდი პატარა ჟურნალისტი. დაწერე მათზე „პიონერულ პრავდაში“.

თუ არ ამხილე მტერი - თავად ხარ მტერი.

ბავშვების საჩივრებით უფროსებს ციხეებში უშვებდნენ. ამის სანაცვლოდ ბავშვები იღებდნენ საჩუქრად ველოსიპედს, ან საგზურს „არტეკის“ პიონერულ ბანაკში.

ტანია: მსმენია, არსებობდა იდეა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ბავშვებისგან შეექმნათ საპატრულო ჯგუფები, რომლებიც უფროსებს შეუმოწმებდნენ პასპორტებს. ბავშვების მთელი არმია, და ყველანი უთვალთვალებენ უფროსებს.

პავლიკი: აი, ეს იქნებოდა ძალა. ვფიქრობ, სტალინს შეეშინდა, რომ ბავშვები ხელისუფლებაში მოვიდოდნენ. ისინი ხომ ყველაზე ჭკვიანი ხალხია მსოფლიოში. აი, მაშინ დაამყარებდნენ წესრიგს.

ტანია: კიდევ მოასწრებენ. დადგება მათი დროც.

პავლიკი (ყელსახვევს უსწორებს): გიხდება. ოღონდ იცოდე, რომ მე ყელსახვევი არ მქონია და არც არავინ ჩამიშვია.

10.

ტანია: მოხდა ისე, რომ მე და ჩემი და მის მოსაკლავად წავედით.

თავიდან ვფიქრობდით, რომ მხოლოდ შეგვეხედა მისთვის, თუნდაც შორიდან _ გვენატრებოდა, ჩვენ ხომ ამდენი წელი არსად მოგვიკრავს მისთვის თვალი.

წარმოიდგინე, ვამბობ, როგორ გამოშტერდება, როცა დაგვინახავს. იქნებ, მართლაც გაუხარდეს? ჩვენ კი ასეთები ვართ: მამიკო, არ გინდა გულში ჩაგვიკრა? შენთან სტუმრად ვართ.

ამ დროს ჩემი და ამბობს: რატომ უნდა ჩავეხუტოთ? რა, კიდევ გიყვარს?

არა, - ვეუბნები, - ხომ არ გამოშტრებულხარ. დასანახად ვერ ვიტანდ.

მეც.

მოდი დავბრიდოთ, - ვთავაზობ.

მოდი, - მპასუხობს და.

გადავწყვიტეთ სადარბაზოსთან ჩავსაფრებოდით და თავი გაგვეტეხა მისთვის. სახლიდან მარმარილოს საათი მქონდა წამოღებული - კოლეგებმა 40-იან წლებში აჩუქეს. ვეტყვი: „შენი დროც დადგა მამიკო“, - და პირდაპირ ვთხლიშავ მელოტ თავში.

როცა მიგვატოვა, მაშინვე გაცვივდა თმა.

მძიმეა... ძლივს მივათრიეთ.

ვდგავართ, ვიყინებით - თებერვალია. გვათოვს. დავსველდით. სიცივისგან ცხვირი გაგვიწითლდა, თითები საათს მიეყინა. ამ დროს ისიც გამოჩნდა. პატარა გოგონასთან ერთად მოდის. ხმამაღლა იცინიან. ის ხუმრობით თითქოს გარბის, გოგონა კი იჭერს. მამა, - ყვირის, - არ დამტოვო.

ჩემს დას გული უჩუყდება და გარბის. ეგეც არის რა. ასე ჩაგვეშალა მკვლელობა.

11.

ტანია: როგორ არ ჩაუშვი?

პავლიკი: ასე.

ტანია: არ მჯერა.

პავლიკი: ჩავისვარე.

ტანია: გააფრინე?..

პავლიკი: 80 წელიწადში შენც გამოშტერდებოდი. ჩემი პირადი საქმე ნანახი გაქვს?

ტანია: 1931 წლის 25 ნოემბერს პაველ მოროზოვმა საგამოძიებო ორგანოებს წარუდგინა განცხადება, რომ მისი მამა ტროფიმ სერგეის ძე მოროზოვი, რომელიც იყო სოფლის კავშირის თავმჯდომარე და ადგილობრივი კულაკების ამხანაგი, აყალბებდა დოკუმენტებს და ყიდდა კულაკებზე. რის გამოც ტროფიმ მოროზოვი 10 წლით გადაასახლეს ციმბირში.

პავლიკი: აქ ლაპარაკია მამაჩემის განაჩენზე. ესე იგი, ეს საბუთი წინა დღის რიცხვით არის დაწერილი. ასეა?

ტანია: ასეა, მაგრამ...

პავლიკი: და რატომ? იმიტომ, რომ მამაჩემი არასოდეს ჩამიშვია!

ტანია: რატომ? შენ ხომ იცოდი მისი საქმიანობის შესახებ. და ისიც ხომ იცოდი, რომ თუ მტერს არ ჩაუშვებ, თავად ხარ მტერი!

პავლიკი: მართლა არ გესმის თუ თვალთმაქცობ? ვისთან ჩამეშვა? ტავდამდე ტყით ორი დღის სავალია. მე 13 წლის ვარ. გარეთ 31 წელია. განმარტოებული სოფელი ტაიგაში.

ტანია: ეგეც იყო რა, ტაიგა. ჩვენთან, ვორობიოვის მთებში ტყე უფრო გაუვალია.

პავლიკი: რა თქმა უნდა. ხისმჭრელებმა ყველაფერი გაჩეხეს, სხვა საქმე არ ჰქონდათ. ადრე უღრანი ტყე იყო. ხეები ცას წვდებოდა. ზამთარში - 40 და არანაირი მდელო! მხოლოდ ტყე. თუ გინდა რამე მოიწიო, ჯერ კუნძები უნდა ამოძირკვო. ხოლო ისინი, ვინც ამას აკეთებდნენ, ყველა გააკულაკეს. ჩამშვებები მათ სახლებში შეასახლეს, დანარჩენებს კი კოლმეურნეობებში უკრეს თავი და წაართვეს მთელი საქონელი. და კიდევ ჩამოდიან ქალაქიდან გადასახადის ასაკრეფად. შენს ფქვილს, ხორცს, რძეს, კარტოფილს, თივას _ ყველაფერს ბოლომდე _ ყველაფერი სახელმწიფოს! ზამთარში მოხუცებს ხდიან „თექის ჩექმებს“.

ტანია: არ მინდა მოსმენა (ყურებს იცობს თითებით)!

პავლიკი (უშლის ყურებში თითების დაცობას): შენ ხალხს დაელაპარაკე! მათ დღემდე ეშინიათ, რომ მოვლენ და გახდიან. არადა, მართლაც მოვლენ და გახდიან! მოკლედ, ქვეყანა სოციალიზმში შედის, ხოლო მამა ჩვენგან მიდის, ნინკა ამოსოვასთან. ჩათლახთან. ამბობენ, რომ ულამაზესია, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ვიდრე სოფელში ქორწილს გადაიხდიდნენ, დედა სირცხვილით სახლიდან ვერ გამოდიოდა. მამა ბედნიერებისგან დღედაღამ სვამს, ბაბუა მიწის დაბრუნებას ითხოვს. გამოდის, რომ ნათესავებიც აღარ ვართ. ხვდები? მიწას. იმ უკანასკნელს, რაც დარჩა. მე კიდევ სამი უმცროსი ძმა მყავს, ყველას ჭამა უნდა.

ტანია (ეჭვით): და სისხლის სამართლის საქმე მამის წინააღმდეგ საიდანღაა?

პავლიკი: იქიდან. ბანდა დააკავეს, მათ კი მამის საბუთები ჰქონდათ.

ტანია: მორჩი დაბოლებას! სასამართლოში ჩვენებას ვინ აძლევდა?

პავლიკი: არ გეკამათები - მე! რა უნდა მექნა? ჩამოვიდნენ ქალაქიდან ფორმიანები, დააპატიმრეს მამაჩემი და სასამართლო პირდაპირ სკოლაში გამართეს. ძალიან შევშინდი. მეკითხებიან: აძლევდა მამა მოწმობებს? ამ დროს მთელი სოფელი საქმის კურსშია. ის არც არასდროს მალავდა ამას. მე ვამბობ - დიახ. მორჩა! პიონერების სახელით გამანადგურებელი სიტყვა არ წარმომითქვამს.

ტანია: მაგრამ მამა ხომ ჩაუშვი!

პავლიკი: აბა რა მექნა, ტყუილი მეთქვა?

ტანია: არ ვიცი.

პავლიკი: არც მე არ ვიცი. ერთი ის ვიცი, რომ კანონით მოწმედაც კი არ გამოვდგებოდი, რადგან მცირეწლოვანი ვიყავი.

ტანია: რა ჯანდაბად მინდა შენი სიმართლე? არაფრის გაგონება არ მსურს! გამყიდველი ხარ და მორჩა! სხვანაირი არც მჭირდება. ის ხარ, ვისიც მჯერა. სხვაგვარად რაში მჭირდება ღმერთი?

პავლიკი: მეც სიამოვნებით. გეფიცები. მაგრამ არ მომხდარა.

ტანია: შენ რა არ გესმის? რა ჯანდაბად შემომათრიე აქ. ავტობუსის მსგავსი თვითმფრინავით მოვფრინავდი. მოვფრინდი, მერე?

პავლიკა: არ გაწყენდა ჰაერის შეცვლა.

ტანია: განავლის ჭიავ! მთელი იდეოლოგია დამინგრიე!

პავლიკი: რა პრობლემაა? ინებე: პიონერმა პრონია კოლიბინმა საკუთარი დედა ამხილა, რომელიც ველზე იყო გასული ჩამოყრილი მარცვლების ასაკრეფად, რათა დაეპურებინა თავად პრონია. მე ხომ უამრავი მიმდევარი მყავს, რომლებმაც ეს მართლაც გააკეთეს... უამრავი მათგანი ჩაშვების მერე დახოცეს. რა საინტერესოები არიან უფროსები: ერთნი ბავშვებს ჩაშვებას ასწავლიან, მეორენი - ამის გამო სჯიან - ახრჩობენ, თოკზე ჰკიდებენ, წვავენ, ჭრიან, ესვრიან...

ტანია: აი, ამაზე რას იტყვი: „სისხლის სამართლის საქმე ძმები მოროზოვების მკვლელობის შესახებ.

ტატიანა სემიონის ასულ მოროზოვას დაკითხვის ოქმი: მე ტატიანა სემიონის ასული მოროზოვა, ჩემს ჩვენებას ვამატებ, რომ ეჭვქვეშ ვაყენებ მოქალაქეებს: სერგეი მოროზოვსა და მის მეუღლე აქსინიას...“

პავლიკი: ბებიაჩემი და ბაბუაჩემი.

ტანია: მათ შვილიშვილს დანილა მოროზოვს...

პავლიკი: ჩემი ბიძაშვილი.

ტანია: აგრეთვე ხიმა კულუკანოვას, არსენი კულუკანოვს და არსენი სილინს...

პავლიკი: ჩემი დეიდა და ბიძები.

ტანია: ჩემს შვილს პაველს, 13 წლის პიონერს, რაც არ უნდა ენახა და მოესმინა ამ კულაკების ბანდაზე, ყოველთვის მიჰქონდა ენა სოფლის საბჭოსა და სხვა ორგანიზაციებში და ამის გამო ისინი ვერ იტანდნენ მას და ყველანაირად ცდილობდნენ მის მოკვლას, რადგან იგი ამ ზემოთაღნიშნულ კულაკებს არ აძლევდა საშუალებას ემოქმედათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და არაერთხელ გააფრთხილეს იგი, რომ...

პავლიკი: პავლიკ, კომუნისტო, შენი სიკვდილით ვერ მოკვდები, ჩვენ კი ტყავს გაგაძრობთ. და ეუბნებოდნენ მას, დაანებე თავი კომუნისტებს, ცოცხალი რომ დარჩე, ამას თუ არ იზამ, მოგკლავთ. რადგან მათი ატანა არ გვაქვს.

ტანია: ეს იყო ჩემი შვილების - პაველის და ფიოდორის მკვლელობის წინ. და საერთოდ, ეს ბოღმა იმ დროიდან მოდის, როცა ჩემი მეუღლე ჩასვეს, ხოლო ჩემი შვილები დახოცეს ამ წლის 3 სექტემბერს ჩემს არყოფნაში, რადგან ამა წლის 2 სექტემბერს მე ტავდაში წავედი და ყველაფერი ეს უჩემოდ მოხდა.

პავლიკი: მეტს ვერაფერს ვიტყვი. ვაწერ ხელს: მისი პირადი თხოვნით ხელი მოაწერა ტასია იანუშკევიჩმა.

დედაჩემი ერთი გაუნათლებელი გლეხი იყო. მან ამ სიტყვების ნახევარიც კი არ იცოდა, ხოლო რაც შეეხება „სოფლის საბჭოში უშვებდა“ - საერთოდ სასაცილოა. საკუთარ მამას - მასსზევე?

ტანია: და შენ არსებობდი?.. არსებობდა კი ბავშვი?

პავლიკი: შენ კი არსებობ?

ტანია: მე?.. რა, ვერ ხედავ?

პავლიკი: რა ვიცი, აბა. რით დაამტკიცებ?

ტანია: პასპორტი გაწყობს?

პავლიკი: ხოო. აი, ჩემი საფლავი პასპორტს ჰგავს. ჯიბეში ვერ ჩაიდებ. მაგრამ მხოლოდ ორი რამ არის დაზუსტებით ცნობილი. მე დავიბადე. და მომკლეს ტყეში, სადაც ფედიასთან ერთად ვაგროვებდი კენკრას. მე მომკლეს, მაგრამ ძალიან მინდოდა სიცოცხლე, მართალი თუ გინდათ.

ტანია: პატარა ფედია კმაყოფილია,

თავის ძმას თვალს არ აცილებს.

მზის ამოსვლასთან ერთად

პირველად გავიდა მინდორში.

პავლიკი: პავლიკთან ერთად მზად არის

ყველა ბილიკი მან მოიაროს,

პავლიკი ხომ მეოთხე კლასშია,

ის კი - ჯერ არცერთში.

მოკლედ, ბაბუა ჭრიდა, დანილკა კი იჭერდა. ჩემი და ფედკას „კუზენი“.

ტანია: რატომ?

პავლიკი: ჩვენთვის არაფერი უთქვამთ. იქნებ, მართლაც მიწის გამო. იქნებ, მამის გამო. სოფელში ხმა დადიოდა, რომ ის მე ჩავუშვი. დედა ტავდადან რომ დაბრუნდა და ჩვენ არ დავხვდით, ერთი ამბავი ატეხა, სამი დღე გვეძებდნენ ძაღლებით. გვამები გზიდან მოშორებით დაყარეს - ამიტომაც ვერ ნახეს. როდესაც ბებიასთან და ბაბუასთან მივიდნენ - სისხლიანი ტანსაცმელი ტაშტში იყო ჩამბალი. ამორეცხვა ვერ მოასწრეს. მე დაგპირდი ჩვენი გვამების ამოღების პროტოკოლის ჩვენებას. ერთადერთი დოკუმენტი, სადაც საჭირო არ გახდა აგიტაცია.

ტანია: „1932 წლის 6 სექტემბერს ტატიანა მოროზოვამ განაცხადა, რომ მას დაეკარგა ორი ვაჟი - პაველ მოროზოვი 14 წლის და ფეოდორი 9 წლის...“

პავლიკი: რომლებიც შემდეგ აღმოაჩინეს სოფელ გერასიმოვკიდან ერთ კილომეტრში სერგინოსთან ტყის პირას გზიდან ათ მეტრში (აჩვენებს თავისთავზე, სად ჰქონდა მიყენებული ჭრილობები). პაველ მოროზოვი იწვა აღმოსავლეთით, თავზე ჩამოცმული ჰქონდა ტომარა. მარცხენა ხელზე დიდსა და საჩვენებელ თითებს შორის გაჭრილი იყო რბილობი და მიყენებული ჰქონდა სასიკვდილო დარტყმა დანით მუცლის არეში მარჯვენა მხრიდან, საიდანაც გადმოყრილი ჰქონდა ნაწლავები...

ტანია: მეორე დარტყმა მიყენებულია დანით მკერდში გულთან ახლოს. იქვე გაპნეულია კენკრა. მოშორებით კენკრით სავსე კალათი დგას...

პავლიკი: ფეოდორ მოროზოვის გვამი პავლიკასგან 15 მეტრშია. მიყენებული აქვს დარტყმა ჯოხით საფეთქელში და დანით მუცელში ჭიპის ზემოთ, გადმოყრილია ნაწლავები. ასევე ძვლამდე აქვს ჩაჭრილი მარჯვენა ხელი~.

ტანია: ხელები, რადგან თავს იცავდნენ?

პავლიკი: სახეს იფარავდა (აჩვენებს). პირველი რეაქცია იყო. ახლა 89 წლის ვიქნებოდი, არ შემრჩებოდა კბილები, დავყრუვდებოდი და ალბათ, დავბრმავდებოდი კიდეც. და საერთოდაც, დიდი ხნის წინ დავიღუპებოდი ომში, როგორც ჩემი ძმა რომკა, რადგან მამაცი ვიყავი.

12.

ტანია: მას ახლა მხოლოდ გვარით მივმართავ. წავალ, ჟაროვს დავურეკავ. დავხიე ჟაროვის ფოტოები, ჟაროვის ნივთები. მან ხომ თავისი ტანსაცმელი ჩვენთან დატოვა. ჩვენ კი ეს ყველაფერი საკომისიოში ჩავაბარეთ. და ამ სიტყვით - არასდროს.

მამა. მ-ა-მ-ა. ტუჩები არ მემორჩილება.

პატარა რომ ვიყავი, ვფიქრობდი, რომ „მ“ ეს თვითონ მამაა, ხოლო ორი „ა“ მისი ქალიშვილები არიან. ის კიდევ ყოველთვის ძალიან მსუქანი იყო, ამიტომაც „მამაში“ „მ“ ორჯერ აქვს. წარმოგიდგენია, „მ“-ს ამოეყარა ეს ორი „ა“. მაშინ „მ“-სგან რა დარჩება?

მ-მ.

არც არაფერი.

ბუმბული.

სიცარიელე.

ობი.

მან კი აიღო და მოისროლა. სიამოვნებით შევხედავდი, რა დარჩა მისგან.

იღებს ტელეფონს. კრეფს ციფრებს. ზარი.

ტანია: გამარჯობა. ტანია ვარ. მე ახლა ძალიან შორს ვარ, ტაიგაში, კენკრას ვკრეფ. წარმოგიდგენია? ტელეფონი იჭერს. ერთი აზრი მომივიდა თავში. შეიძლება სისულელე იყოს. მეტს აღარ შეგაწუხებ - გირეკავ გამოსამშვიდობებლად. ისე, შენგან არც არაფერი მინდა. უბრალოდ, რომ მყავდე.

ყურმილში ბავშვის ტირილი ისმის. შემდეგ ქალის ხმა მკაცრად კითხულობს: „ეს ვინღაა“?

მამა (ქალს): არავინ. ნომერი შეეშალათ.

ყურმილში წყვეტილი ზარია. ტანია კვლავ კრეფს ნომერს. პავლიკი ართმევს ტელეფონს.

პავლიკი: მორჩა, საკმარისია!

ისვრის ტელეფონს. ტელეფონი ხვდება ხეს და იფშვნება ნაწილებად.

13.

პავლიკი და ტანია ტყეში იმ ადგილას მიდიან, სადაც ძმები მოროზოვები მოკლეს. ხეებს შორის დგას გამოჭედილი ჭიშკარი, რომელიც აგურის სვეტებზე დგას.

ტანია: საიდან ტყეში ჭიშკარი? ვინ ცხოვრობდა აქ?

პავლიკი: მოკვდა. ჩემი სიკვდილის გზაა აქ ნაჩვენები, რათა ტურისტები არ დაიბნენ. ვიღაცის დიზაინერული აღმოჩენაა.

ტანია: ჭიშკარი სხვა სამყაროში?

პავლიკი: აქ მე ვასრულებ სურვილებს, როგორც ყოველი მოწამე, რომელიც თავისთავს სცემს პატივს.

ტანია: ადრე რატომ არ მითხარი?

პავლიკი: რა, განცხადება უნდა გამომეკრა?

ტანია: და შენ რა, ასე პირდაპირ შეგიძლია სურვილის ასრულება?

პავლიკი: კიდევ რა გინდოდა. ჯერ უნდა ვნახო, ღირს კი ასასრულებად. და საერთოდ, ხშირად _ არ ღირს, თორემ მოსკოვიდან სახელმწიფო მოხელეთა თვითმფრინავები აქეთკენ გამოეშურებიან. სულ არ გვჭირდება ხმაური. აქ, ჩვენთან, გერასიმოვკაში ისედაც ერთმა ადგილობრივმა ურიკა ტანკში გაცვალა. ჩემი ასფალტი გააფუჭა.

ტანია: ესე იგი, მაინც არ შევმცდარვარ შენში?

პავლიკი: და მე შენში?

ტანია: ჯერ საკითხავია, რას მოითხოვ ჩემგან.

პავლიკი: და შენ?

ტანია: მე პირველმა გკითხე.

პავლიკი: მინდა ჩემი გზა გამოიარო, ის რომელიც არ ყოფილა.

ტანია: ჰმ! შენ ხომ თავად გადამათქმევინე.

პავლიკა: მე?

ტანია: ჰო, როცა შენზე მიყვებოდი.

პავლიკა: რას მელაპარაკები. მოგეჩვენა, ალბათ.

ტანია: ისევ ისულელებ თავს?

პავლიკი: ჰო კაი, მხოლოდ ერთხელ ვიხუმრე - პიონერებთან. შენ კი „ავარდი“.

ბევრი ვიფიქრე და მივხვდი: მოკლედ, მამა უნდა ჩამეშვა, მით უმეტეს, რომ ამას გვასწავლიდნენ. უპატიებელი შეცდომაა. არ შეიძლება ისე მოექცე ოჯახს, როგორც ის მოიქცა. უბრალოდ - არ შეიძლება. მე აუცილებლად უნდა გამევლო ეს გზა ორ დღეში ტყის გავლით ტავდის რაიკომამდე. ჩემი იმედი გაამართლე - გააკეთე ყველაფერი ადამიანურად. ჩასვი მამაშენი 8 წლით. მისწერე კორუფციასთან ბრძოლის ორგანოს, თქვენს ჩეკისტებს. ის ხომ რეალურად არღვევს კანონს. დაეხმარე მართლმსაჯულებას.

ტანია: პავლიკ, შენ რა?!

პავლიკი: და რა? შენ ხომ თავად გინდოდა -აი, მეც გთავაზობ რეალურ სვლას. ფურცელი გაქვს? ამოიღე. ახლა დავწერთ.

ტანია: მაინც მამა, ბოლოს და ბოლოს. ცოდოა.

პავლიკი: და შენ ხომ შვილი ხარ და ამაზე არ ფიქრობდა, როცა სახლიდან წავიდა.

ტანია: იმედი მქონდა, რომ ღმერთი იძიებდა მასზე შურს. მართლა.

რა ღვთაებრივი, ჩემი ღმერთი - პავლიკ მოროზოვია. ის, რასაკვირველია და არა შენ. ხოლო სხვაზე არც არაფერი ვიცი.

მან გადაგარჩინა?

პავლიკი: ჰო, ისე, ჩემს მაგივრად პრონია კოლიბინი არ გამოგადგება? მან დედა დააჭერინა.

ტანია: შენ რა, ვერაფერი გაიგე? რა ჯანდაბად მინდა ვიღაც არამზადა? ჩემი პავლიკა მოროზოვის ხიბლი ისაა, რომ მან თავად დასაჯა მამა, როცა ღმერთი არ გამოექომაგა. რადგან პენსიაზე გავიდა. ჯერ კიდევ ჯვაროსნული ომებიდან. პროტესტის ნიშნად. თავისი უფლებამოსილება მოიხსნა. ასე რომ, მთელი ეს ინკვიზიცია და ჯადოქრები სულ ცალ ფეხზე დაიკიდა. ჩვენ კიდევ აქ თავს ვუტყამთ, ვლოცულობთ - გვიშველე, გადაგვარჩინე... ის კი - უბრალოდ, წავიდა! როგორც მამაჩემი! ისიც ხომ მამაკაცია და სხვათა შორის, თავისი შვილი სატანჯველად გაიმეტა. უფლება მისცა, რომ მოეკლათ. რა არის ეს, თუ არა ღალატი?

მინდა ვთქვა, რომ ტიპიური შემთხვევაა. იქნებ ახალი ვაჟი გაიჩინა. ჩვენ კი გვიმალავენ.

პავლიკი: მამაშენს არალეგალური შემოსავალი აქვს?

ტანია: და ვის აქვს ჩვენს ქვეყანაში ლეგალური შემოსავალი. ასეთი მამიკოებით სავსეა სახელმწიფო სექტორი. და აი, ისინიც არ ცვლიან კანონებს. თუ ცვლიან - თავის სასარგებლოდ. თქვენ, ქალები კი სულელები ხართ, აჩენთ ასეთებს უფრო და უფრო მეტს...

ისმის მუსიკა მ. კრასევას ოპერიდან „პავლიკ მოროზოვი“. მეორე მოქმედება. პავლიკა და ტანია მღერიან პავლიკას და ზოია ალექსანდრეს ასულის (პავლიკას მასწავლებელი) პარტიას.

ანდანტე

პავლიკი: რა ვქნა, რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე? ის ხომ მამაჩემია.

მაგრამ მე სიტყვა მივეცი, რომ ვემსახურებოდი სამშობლოს, ვიბრძოლებდი თავისუფლებისთვის, ყველა ადამიანის ბედნიერებისთვის.

არა, არ უნდა გავჩუმდე, ყველაფერი უნდა მოვუთხრო პიონერხელმძღვანელს!

(გაბედულად აკაკუნებს ფანჯარაზე.)

პიუ მოსსო. ჟნქიეტო

ზოია ალექსანდროვნა!

ზოია ალექსანდროვნა!

ზოია ალექსანდროვნა (გამოჩნდება ზღურბლზე): შენ ხარ, პავლიკ?

პავლიკა: მე ვარ.

ზოია ალექსანდროვნა: ასე გვიან? საიდან მოდიხარ?

პავლიკი: სოფლის საბჭოდან...

ზოია ალექსანდროვნა: აღელვებული მეჩვენები... რამე შეგემთხვა?

პავლიკი: არხიპ-კულაკის საბუთი ვნახე მამაჩემის ხელმოწერით. იქ წერია, რომ არხიპი კულაკი კი არა, ღარიბია...

ზოია ალექსანდროვნა: არხიპი? ესე იგი, გამოდის რომ მამაშენი ჩვენი მტერია და არა მოყვარე... ის კულაკებს ხელს აფარებს!

მოდერატო ასსაი

პავლიკი: როგორ მოვიქცე, რა ვქნა, ზოია ალექსანდროვნა!

(პავლიკა ტირის და ხელებს იფარებს სახეზე)

ზოია ალექსანდროვნა: დაწყნარდი, ძვირფასო... ყველაფერს გავარკვევთ. შენ კი მანამდე ამის შესახებ არავის არაფერი უთხრა...

ანდანტე

ამხანაგი დიმოვი დაგვეხმარება.

მოდერატო ჩონ მონტო

ახლა კი, პავლიკ, ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ჩვენი პური სახელმწიფოსთვის შევინახოთ და დავზოგოთ.

შენ თავად ხედავ - მტერს არ სძინავს, მაგრამ ჩვენ დაუყოვნებლივ გავცემთ მათ საკადრის პასუხს. აუცილებელია გავაძლიეროთ დაზვერვა და დავიცვათ მშობლიური მიწები...

მოდერატო ჩონ მონტო

(პიონერები ქოხიდან გამოდიან პარმაღზე. ხმამაღლა მიმართავს პიონერებს)

ბავშვებო, ვაცხადებ შეკრებას!

(ისმის საყვირის ხმა. ბავშვები გარშემო შემოეხვევიან მასწავლებელს)

ალლეგრო ქიოცოსო

ზოია ალექსანდროვნა: ვისაც ახალი ცხოვრების შენება უნდა, მტერს მედგრად უნდა ებრძოლოს. რადგან იგი არ ნებდება ბრძოლის გარეშე - ბოროტი, დაუნდობელი და ეშმაკია. დღისით მეგობრად მოგაჩვენებს თავს და როგორც კი ღამის ბინდი ჩამოწვება, ცდილობს როგორმე შური იძიოს შენზე...

ამხანაგებო, თავს მოიფრთხილდით. კულაკი ქურდივით აკეთებს თავის შავ საქმეს.

პიონერები: როგორ უნდა მოვიქცეთ?

ზოია ალექსანდროვნა: შევქმნათ ჩვენი პიონერული, მამაც და ფხიზელ მზვერავთა რაზმი.

პავლიკი: პიონერული, მამაცი და ფხიზელი!

პურს საშიშროება ემუქრება! პურს ბოროტი მტერი ემუქრება, ბოროტი მტერი!

ზოია ალექსანდროვნა (პავლიკასთან და პიონერებთან ერთად): პიონერო, დაიკავე შენი ადგილი და არცერთი ნაბიჯი უკან!

<u>*ფარდა.*</u>

პავლიკა: რომ არაფერი ვთქვათ ლექსებზე, პროზასა და ძეგლებზე, ჩემს შესახებ შეთხზეს სიმფონიური პოემა „პავლიკ მოროზოვი“, პიონერული სპექტაკლ -კონცერტი - „აენთეთ კოცონად“, გუნდისთვის (ბარაბნის თანხლებით), და ოპერა „პავლიკ მოროზოვი“ - სამ მოქმედებად, შვიდ სურათად და ეპილოგით. ეიზენშტეინმა ჩემზე გადაიღო „ბეჟინის მდელო“, მაგრამ სტალინმა ის აკრძალა. რადგან მასში შემთხვევით 30-იანი წლების გლეხების ცხოვრების ტრაგედია გამოჩნდა. მოუწიათ მთელი ფილმის დაჭრა და დასასრულ ჩემი გაცოცხლებაც საერთო ოპტიმიზმისთვის, მაგრამ ფირი საბოლოოდ მაინც განადგურდა.

ხოლო ბალეტი ციგურებზე ჩემს შესახებ ვეძებე, მაგრამ ვერ ვნახე. ნუთუ ჯერ არ დაუწერიათ?

14.

იქვე.

ტანია: ახლავე გავაჟღერებ სურვილს.

პავლიკი: ხმამაღლა არ თქვა, ფურცელზე დაწერე და სვეტზე დაამაგრე. ღამით წავიკითხავ.

ტანია: მე ხომ დღეს მივფრინავ. დაუშვი ჩემთვის გამონაკლისი.

პავლიკი: არ შეიძლება.

ტანია: მოდი, ახლა იყოს.

პავლიკი: აქ ჩვენ საკუთარი წესები გვაქვს.

ტანია: და რომ დაარღვიო, რა მოხდება? გაგათავისუფლებენ?

პავლიკი: არ შეიძლება.

ტანია: სხვები რას გთხოვდნენ?

პავლიკი: დიდი ოცნებები არ შემხვედრია, სულ წვრილმანები იყო (იღებს ბარათებს სვეტიდან).

„დაე, ასრულდეს ჩემი ოცნება. მინდა წავიდე აქედან და ვიცხოვრო საფრანგეთში“.

ტანია: (ართმევს სხვა ბარათს) შეიძლება? (პავლიკი თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს) „პავლიკ, დაე, ასრულდეს ჩემი სურვილი. დაეხმარე იურის, ჩემს ქმარს, მიიღოს პასპორტი და სხვა დოკუმენტები, რომელიც დასჭირდება ამ ცხოვრებაში“.

პავლიკი: რა შუაში ვარ მე აქ? ეს რა, იმის მოსაგონრად არის, რომ მამა სოფლის კავშირის თავმჯდომარე იყო? განა გამოუწერენ ცნობას უცხო კლასის ელემენტს?

ტანია: „მე მინდა, რომ დედაჩემი, მამაჩემი, ვოვკა და ზაიკა ყოველთვის ცოცხლები, ჯანმრთელები და ბედნიერები იყვნენ. მინდა, რომ მამამ თავი დაანებოს სმას. მინდა, რომ მე-11 კლასი ფრიადებზე დავამთავრო. მინდა ჩავირიცხო ტიუმენის სახელმწიფო უნივერსიტეტში...

ძალიან გთხოვ პავლიკ, ძალიან.

სვეტა კულიაბო“...

„პავლიკ მოროზოვ,

მე ყოველთვის მინდა ვიყო იმის გვერდით, ვისთან ერთადაც აქ მოვედი დღეს. ეს ადამიანი ძალიან მიყვარს და მისგან მინდა შვილები მყავდეს. დაე, იყოს ისე, როგორც მე მსურს“.

ამისრულე სურვილი. ნუ იქნები მავნე.

პავლიკი: მაშინ შენ ჩემი შეასრულე.

ტანია: მაგრამ მე ხომ მოწამე არ ვარ.

პავლიკი: მისმინე, შენ ხომ შეგიძლია ასეთი გახდე. ასეა! ყველაფერი მოვიფიქრე. შენ ხომ შენებს უკვე ყელში ამოუხვედი. ბაბუაშენი წამსვლელია მკვლელობაზე?

ტანია: ის ომში არ წასულა - მოიგონა, როგორ დაეღწია თავი. ხოლო ახლა ვეტერანებში ჩაეწერა. შესაძლოა, წავიდეს კიდევ ამაზე.

პავლიკი: მშვენიერია! მოხვდები ჩვენთან. ყველას გაგაცნობ - ვინც 30-იან წლებში აწამეს.

ჩვენი კომპანია საუცხოოა: პოეტები, სკოლის მოწაფეები, გენეტიკოსები, გენერლები - ძალიან მოგეწონება. ბევრი ცნობილი ადამიანია აქ, მაგრამ უფრო მეტად უცნობები შეგხვდება. ჩვენთან სიმშვიდეა და გემრიელ საჭმელსაც გვაჭმევენ.

ტანია (ოცნებებშია ჩაძირული): ხოო...

პავლიკი (კიდევ მეტი ენერგიით ინთება): ხშირად შევხვდებით. ყოველ დღე! ყველაფერს გასწავლი: როგორ შეგიძლია სხვისი სურვილების ასრულება, ვის უნდა უთხრა უარი, ვის მისცე იმედი, რომ არავის აწყენინო. გექნება შენი საფლავი. გეყოლება საკუთარი მთხოვნელები. საკუთარი მითი. კარგია!

ტანია: კარგი... ჩემს შემთხვევაში როგორ არის, - უარით მისტუმრებ თუ იმედი მომეცი?

პავლიკი: შენ ხომ ყველაფერს მიხვდი... უარი რომ მეთქვა, აღარაფერს მკითხავდი.

ტანია: მაგრამ ჩაშვება ხომ მაშინ არ შეიძლება? არ აგიყვანენ.

პავლიკი (პაუზის შემდეგ): არ აგიყვანენ. მაშინ არ ჩაუშვა და, ერთი მამაშენისაც... ეგეც არი რა... ღირს კი მის გამო ცხოვრების გაფუჭება ან სიკვდილი. მოკლედ, სჯობს ჩვენ შემოგვიერთდე. მოგეწონება. მხოლოდ ის უნდა მოვიფიქროთ, როგორ შემოაღწიო ჩვენთან.

ტანია: შესვლა კონტროლდება?

პავლიკი: თაგვიც კი ვერ შემოძვრება.

ტანია: არ შემიძლია.

პავლიკი: შენს სურვილს ავასრულებ.

ტანია: არ არის საჭირო. თავად მოვაგვარებ.

(დარბაზს)

მამა, მითხარი, რა გავაკეთო, როცა ჭიქას სწევენ და „მშობლების“ სადღეგრძელოს ამბობენ? ვინ ვადღეგრძელო?

მამა, ჩემი ცხვირი ნელ-ნელა შენსას ემსგავსება, წარბებიც, შუბლიც - მოკლედ, მთელი პროფილით შენ გემსგავსები. ვიხედები სარკეში და ასე მგონია, რომ შენ გხედავ.

მამა, ადრე ჩვენ ერთ სხეულად მოვიაზრებოდით. მე ხომ შენი სპერმატოზოიდი ვარ და სხვა არც არავინ. არც ისე შორეული ვარ შენთვის. ნუთუ საერთოდ არ გაგაჩნია ჩემს მიმართ მშობლიური გრძნობები?

როცა სულ პატარა ვიყავი, შენ უკვე იცოდი, რომ ჩვენი ურთიერთობა დროებითი იყო.

15.

საჩივარი

ტანია: „ფე-ეს-ბე“-ს კორუფციასთან ბრძოლის განყოფილებას

„უბეპ“-ს

საგადასახადო ინსპექციას

საგადასახადო პოლიციას

სამეურვეო განყოფილებას

სასწრაფო დახმარებას

მამა ღმერთს - თუკი ის მართლაც არსებობს.

გაცნობებთ, რომ მოქალაქე ა. ი. ჟაროვი, რომელიც სახელმწიფო მოხელეა, იღებს ქრთამს დიდი ოდენობით პირდაპირ თავის კაბინეტში. ამასთან ერთად არც ამ ქრთამიდან და არც სხვა არაკანონიერად მიღებული თანხებიდან, არ იხდის გადასახადებს. მფლობელია უძრავი ქონების და საზღვარგარეთ გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები. ასევე მფლობელია 4 ავტომობილის და ავი ცოლის. გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში, რომ ის უკვე 7 წელიწადზე მეტია, უარს ამბობს თავის ქალიშვილებთან ურთიერთობაზე და არ იხდის ალიმენტებს. და როცა ქალიშვილები მასთან ტელეფონით დაკავშირებას ცდილობენ, ის მათ აგზავნის ჯანდაბაში (სამ ასოზე).

კეთილისმსურველი

(მას ესმის როგორ ურტყამს მოსამართლე ჩაქუჩს მაგიდას და წესრიგისკენ მოუწოდებს)

ფეხზე წამოდექით, სასამართლო მოდის.

ბიძია მოსამართლეები.

პავლიკი: ტანია, ეს მამაშენია?

ტანია: ჰო, ის იყო ერთ დროს მამაჩემი, მაგრამ ახლა ასე არ ვთვლი.

პავლიკა: და რატომ?

ტანია: მამაჩემი არ არის ხელისუფლების ვერტიკალის დამცველი, ის გამყიდველია. მე, როგორც არა შვილი, არამედ როგორც ჩემი ქვეყნის პატრიოტი, მოვითხოვ, რომ იგი წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე და გასამართლდეს მთელი სიმკაცრით.

პავლიკი: ტანიამ მოწიწებით დაუხარა თავი დამსწრე საზოგადოებას და აღელვებული და ემოციებით სავსე კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა.

მაგრამ აქ არანაირი შეკრება და სასამართლო არ არის. რადგან დღეს, თუნდაც რომ დაწერო და შეადგინო ვინმეზე საჩივარი, თუ ის ვინმეს არ სჭირდება, არანაირ ინტერესს არ იწვევს. ყველა ინსტანციაში მას თაროზე შემოდებენ, - ან ვიღაცის წინასაარჩევნო კამპანიამდე, ან კიდევ, შესაძლოა ამ საჩივრით საერთოდ არასდროს არავინ დაინტერესდეს. არც პავლიკა აღარ არის უკვე.

2006 წლის ივლისი - 2007 წლის მარტი.

პიესის შექმნისას გამოყენებულია:

ძმები მოროზოვების მკვლელობის საგამოძიებო საქმის დოკუმენტური მასალები;

ნაწყვეტები მხატვრული ნაწარმოებებიდან:

ოპერა „პავლიკ მოროზოვი“. მ. კრასევი. მ., 1953.

პიონერული სპექტაკლი -კონცერტი „აენთეთ კოცონად“. მუსიკა გ. პორტნოვისა, ტექსტი ი. პრინცევისა. ლ., 1962.

პოემა „პავლიკ მოროზოვი“. სტ. შჩიპაჩოვი. მ., 1950.

პოემა „მოროზოვ პაველი“. ვალია ბოროვინ. ვოლგდა, 1936.

კულაკების ბუდეში. პ. სოლომეინი. მ.-სვერდლოვსკი, 1933.

პაველ მოროზოვი: მამაცი პიონერის ცხოვრება და ბრძოლა. პიონერ ხელმძღვანელის დასახმარებლად. საუბრები პიონერთა ბანაკში. ე. სმირნოვი. მ., 1938.

პიესის შექმნისას არცერთი მამა არ დაზარალებულა.

პოსტსაბჭოთა დრამატურგია უკრაინასა და ლიტვაში

ვიქტორ სობიანსკი

თანამედროვე უკრაინული დრამა: ცენზურა ცენზურის გარეშე

უკრაინის დრამატურგიას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, რომელიც ჯერ კიდევ ბაროკოს თეატრის ეპოქიდან მომდინარეობს. 1990-იანი წლების დასაწყისში ყურადღების მიღმა დარჩა უკრაინული თეატრის კორიფეების ფენომენი (XIX ს. ბოლო), და 1920-იანი წლების მიკოლა კულიშის პიესები. ყველა საბჭოთა თეატრი და საგამომცემლო სტრუქტურა ჯერ კიდევ არ მუშაობდა და ამდენად არ არსებობდა ალტერნატივა. საბჭოთა პერიოდში ძველი თაობის დრამატურგების შემოქმედება ექვემდებარებოდა ცენზურას, მაგრამ 1990-იან წლებში მათ შეეხოთ სხვა ტიპის „ცენზურა“. კულტურული პოლიტიკის არ ქონის და შეზღუდული ფინანსების გამო ტექსტები არ იბეჭდებოდა და შესაბამისად, არც იდგმებოდა. უკრაინელმა რეჟისორებმა თავისთვის აღმოაჩინეს უცხოური დრამა, რომელიც ადრე ასე მიუწვდომელი იყო და ამგვარად, ისინი ხშირად იგნორირებას უკეთებდნენ, არც თუ ისე სრულყოფილ უკრაინულ პიესებს. ასე რომ, ზოგიერთი უკრაინელი დრამატურგი შეურიგდა იმ აზრს, რომ ეწერათ პიესები და შემდეგ თაროზე შემოედოთ, იმ იმედის გარეშე, რომ ისინი ერთ დღეს ცნობილი გახდებოდა და სცენაზე დაიდგმებოდა. ეს არის დიდი დრამატურგების პლეადის ტრაგედია. მათ შორის, ვოლოდიმირ სერდიუკი, იაროსლავ ვერეშაკი, ალბერტ ვერბეტსი და სხვები.

1990-იანი წლების დასაწყისში თანამედროვე დრამატურგების „მეორე თაობამ“ (აქ ჩვენ ვიყენებთ, კულტუროლოგ ნადია მიროშნიჩენკოს მიერ შემოთავზებულ ტიპოლოგიას დრამის მწერლების შესახებ, დაფუძნებული მის „თაობების თეორიაზე“.) ზუსტად ასეთი „უსარგებლობის“ გრძნობით დაიწყო მუშაობა. მაგრამ იმ დროს დრამატურგმა ანატოლი დიაჩენკომ, რომელმაც დაამთავრა